განათლება და ეთიკა მდგრად განვითარებასთან მიმართებაში

დარეჯან ჩხიროძე
აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი
darejan.ckhirodze@unik.edu.ge

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია განათლება და ეთიკა მდგრადი განვითარებასთან მიმართებაში. განათლება, როგორც საფუძველი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის ახალი აზროვ ნებით და საზოგადოებაში და გარემოში ქცევის ახალი წესებით – ახალი ცნობიერებით. მდგრადი წიგნიერება დაახალი აზროვნება ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებებით შესაძლებელ მდგრადი საარსებო სივრცის მნიშვნელობის გაცნობიერების; ხოლო ეთიკა საზოგადოებრივი აზროვნების და ქმედებების შეგნების ფორმა დაფუძნებული მდგრადი განვითარების მიზნებსა და კლასიკური ეთიკის ძირითად პრინციპებზე.

ნაშრომში დეტალურადაა მაგალითების სახით მოცემული სწავლების ძირითადი შინაარსი, მეთოდები, სიახლეები და კვლევები და მოსაზრებები თითოეულ საკითხთან მიმართებაში.

ნაშრომის სიახლე და მიზანია: პროგრამულად საგანმანათლებლო სივრცეში ისწავლებოდეს კომპლექსურად ,,განათლება და ეთიკა მდგრადი განვითარებასთან მიმართებაში“ დღესდღეობით ეს დისციპლინები ისწავლება ცალ ცალკე და არა ერთობლიობაში სტუდენტს შეეძლება არა ცაკე სახელმძღვანელოებში არამედედ ერთი სახელმძრვანელოთი ისარგებლოს.

ნაშრომში ავტორი შემოდის წინადადებით რათა ამ მიმართულებით ,,განათლება და ეთიკა მდგრადი განვითარებასთან მიმართებაში,, სახელმძღვანელოს გამოცემის, რაც ამაღლებს საზოგადოების ცნობიერებას მდგრადი განვითარების მიმართულებით. უპასუხებს თანამედროვე გამოწვევებს, ინფორმირებულობა და ცოდნა კი გააზრებულს გახდის ადამიანის ქმედებებს და იქნება გარანტი, რათა ავიცილოთ ის რისკები, რომელიც არაინფორმირებულობამ, გაუზრებელმა საქმიანობამ შეიძლება მოიტანოს.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, განათლება და ეთიკა,მდგრადი კლიმატი, მდგრადი მშვიდობა, ეკოლოგიური მშვიდობა

JEL: O01, Q57, Q58

DOI: 10.52244/c2025.48

შესავალი

თანამედროვე პირობებში მდგრადი განვითარებისათვის ბრძოლა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც კაცობრიობის ბრძოლა მშვიდობისა და თანაარსებობისათვის. მხოლოდ სახელმწიფოთა მმდგრადი განვითარების პირობებშია შესაძლებელი, მთელი ძალები მოხმარდეს ეკოლოგიური-ბუნებრივი გარემოს, ეკნომიკური ზრდის, სოციალური კეთილდღეობის პირობებშია

შესაძლებელი საზოგადოება გაუმკლავდეს იმ გამოწვევებს, რასაც ცივლიზაციის ზრდა და ახლი წესრიგის, აზროვნებისდამკვიდრების თანმდევია საზოგადოების მდგრადი განვითარება განსაზღვრავს ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესების განვითარებას ეკომშვიდობის შენარჩუნების ჭრილში, როდესაც მოსახლეობის რიცხობრიობის ზრდა და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება მიმდნარეობს გონივრულად, გარემოს შესაძლებლობების გათვალისწინებით, ამავდროულად ეფუძვნება საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონებს.

ძირითადი ტექსტი

განათლება ზოგადად ცოდნის მიზანმიმართული გამოყენებაა. განათლებამ და წიგნიერებამ უნდა შექმნას საფუძველი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის ახალი აზროვ ნებით და საზოგადოებაში და გარემოში ქცევის ახალი წესებით – ახალი ცნობიერებით.

მდგრადი წიგნიერება დაახალი აზროვნება მოიაზრება ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც შესაძლებელს ხდის მდგრადი საარსებო სივრცის მნიშვნელობის გაცნობიერების; გარემოს მდგრადი განვითარების მნიშვნელობის ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედების ბალანსირებული მიდგომების გაზრების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

განათლება და ეთიკა მდგრადი განვითარებისათვის საგანმანათლებლო სისტემის საზრუნავი უნდა გახდეს და განისაზღვროს ის მოთხოვნები რაც მდგრადი განვითარების მიზნებშია მოცემული. **განათლება და ეთიკა მდგრადი განვითარებისათვის უნდა განიხილებოდეს როგორც მთელი საგანმანათლებლო პროცესის სისტემა-ფორმირების კომპონენტი, მისი სტრატეგიული მიზნები და წამყვანი მიმართულებები,როგორც განათლების მომავალი ინტელექტუალური, მორალური და სულიერი საფუძველი.**

განათლება და ეთიკა მდგრადი განვითარებისათვის პროგრამულად საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვა ეტაპობრივად უნდა მოხდეს, მდგრადი განვითარება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემოდის ფორმალური განათლების სახით, ზოგადი განათლების ყველა დონეზე და ყველა საფეხურზე. მას მიეცა უფრო კონკრეტული ხასიათი, რათა მოსწავლეებს გაეცნონ მდგრადი განვითარების გამოწვევებს.

მდგრადი განვითარების შესწავლის დროს მოსწავლე ეცნობა შეხედულებებს, გარემოს შეცნობის მეთოდების შესახებ. გათვალისწინებელია პრაქტიკული სამუშაოები, მარტივი სასწავლო ცდები, ადგილზე ორიენტირება, რუკების გამოყენება, ობიექტებისა და პროცესების მოდელირება და სხვა ამის მიზანია დაანახოს კავშირი ირგვლივ არსებულ საგნებსა და მოვლენებს შორის. მიღებული მოდელი ემყარება კავშირს კვლევის შედეგებსა და მეცნიერულ მოსაზრებებს შორის დაგროვილი ცოდნისა და გამომუშავებული უნარ–ჩვევების საფუძველზე მოსწავლე ცდილობს დაადგინოს მოვლენებს შორის მიზეზ–შედეგობრივი კავშირები, რაც გააღრმავებს სამყაროს შეცნობის კვლევის ინტერესი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროგრამული სწავლება საშუალებას იძლევა მიღოს გარკვეულ ცოდნა და შესაბამისი განსაზღვრულ პრაქტიკულ უნარ–ჩვევები მდგრადი განვითარების მიმართულებით. დადებითი მონაპოვარი განათლების სისტემაში და ერთ–ერთი გადადგმული ნაბიჯია დემოკრატიისაკენ მიმავალი სახელმწიფოსათვის. უნდა აღინიშნოს, რომ განათლება და ეთიკა მდგრადი განვითარებისათვის დინამიური პროცესია და საზოგადოებასა და გარემოში

მიმდინარე პროცესები ხშირად წინ უსწრებს მეცნიერულ კვლევებს და შესაბამისად განათლებაში მათი დანერგვა ხშირად იგვიანებს.

კვლევის მეთოდები

კვლევა მოიცავს:

– კვლევის აქტუალობა
– მოსწავლეზ/სტუდენტზე ორიენტირებული საქმიანობა;
– სამუშაოების კომპლექსური ხასიათი;
– ფართო შესაძლებლობები შემეცნებითი /შემოქმედებითი განვითარებისათვის;
– პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრა;
– ალტერნატივა და ცვალებადობა;
– ავტორის გადაწყვეტილება, ავტორის საკუთარი პოზიცია.

შემდეგ სავალდებულოა, განისაზღვროს სამუშაოს შესრულების მიზნები, მეთოდები, საშუალებები და ეტაპები. პროექტში შეიძლება გამოიყოს სამი ეტაპი:

- ორგანიზაციულ-მოსამზადებელი;
- ტექნოლოგიური;
- პრეზენტაცი

,,განათლება და ეთიკა მდგრადი განვითარებსათვის“ სასურველია სწავლება განხორციელდებოდეს პროფესიული და უმაღლესი სასწავლება არაპროფილურ სპეციალობების ნებისმიერ ფაკულტეტზე, რათა ზოგადი სახით კომპლექსურად შესწავლილი იქნას მდგრადი განვითარების მიზნები, ეკოლოგიური ასევე ეკონომიკური და სოციალურად ბალანსირებადი საზოგადოების ინტერესები, გამოწვევები და გადაჭრის ეთიკური გზები.

მდგრადი განვითარების ეთიკა, განსაზღვრავს ადამიანის ზნეობრივ-მორალურ ურთიერთობას, პრინციპებს, ნორმებს და ქმედებებს. მდგრადი განვითარების ეთიკა საზოგადოებრივი აზროვნების და ქმედებების შეგნების ფორმაა და დაფუძნებულია მდგრადი განვითარების მიზნებსა და კლასიკური ეთიკის ძირითად პრინციპებზე. ყოველივე ეს აიძულებს ადამიანს მეტი იფიქროს ამ პროცესების ჰუმანიზაციაზე. პროცესის მართვის მორალურ ასპექტებზე. აუცილებელი ხდება ეთიკური ღონისძიებების გატარება: გადასვლა სუფთა საწვავზე, მრეწველობის ნარჩენების მეორადი გადამუშავება და ა.შ. ეს აყალიბებს იმის შეგნებას, რომ ეკოლოგიური განვითარება ზნეობრივ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს და ცენტრში იდგეს მხოლოდ კონკრეტული ადამიანი. მორალური ნორმების ცოდნა გასათვალისწინებელია მდგრადი განვითარებისათვის. საკითხისადმი ასეთი მიდგომა გამოიწვევს სამოქალაქო და ინკლუზიური საზოგადადოების ჩამოყალიბებას.ნებისმიერი სწავლების მეთოდებში აუცილებელია გამოყენებული იქნას ისეთი აღმზრდელობითი შესაძლებლობები და რესურსები როგორიცაა: ბაღი, დაცული ტერიტორიები, ადგილობრივი და ბუნებრივი და კულტურული გარემოსდაცვითი განათლების განხორციელების ურთიერთკოორდინაციის ფორმალური და არაფორმალური განათლების საშუალებები.

უმაღლეს საფეხურზე სწავლებაში განხილული უნდა იქნსას მდგრადი გარემოს გლობალური გამოწვევები, როგორიცა მაგალითად კლიმატის ცვლილება, მისი მისი გაალენა და თანმხლები ნეგატივები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

კლიმატის ცვლილება წარმოადგენს საშუალო გლობალური ტემპერატურის ზრდას. კვლევები დასტურებს, რომ დედამიწის კლიმატი შეიცვალა და დიდი ალბათობით, ეს გამოწვეულია სათბურის აირების კონცენტრაციის მატებით ატმოსფეროს ქვედა ფენებში, სათბურის ეფექტი ბუნებრივი მოვლენაა. რომლის გამოც სიცოცხლე დედამიწაზე შესაძლებელი გახდა, რომ არა

სათბურის ეფექტის გაზების, როგორებიცაა წყლის ორთქლი, ნახშირორჟანგი, მეთანი, აზოტის ჟანგი ბუნებრივი გამოყოფა, ჰაერის ტემპერატურა 33 გრადუს C-ით დაბალი იქნებოდა.

სათბურის ეფექტი მიზეზია, ხოლო გლობალური დათბობა და კლიმატის ცვლილება ამ მიზეზის მიერ გამოწვეული შედეგებია.

ასევე განხილული უნდა იქნას კლიმატის ცვლილების ნეგატივები სოციალურ ასპექტში

ჯანმრთელობაზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შეფასება მრავალ გაურკვევლობას მოიცავს. მკვლევარებმა უნდა განიხილონ არა მარტო კლიმატის ცვლილების მომავალი სცენარები, არამედ არაკლიმატური ფაქტორებიც. მაგალითად, სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ტენდენციებმა შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს მოსახლეობის მოწყვლადობაზე, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ღარიბი საზოგადოებები (თემები) უფრო მოწყვლადი აღმოჩნდება ჯანმრთელობაზე კლიმატის ცვლილების გავლენის მიმართ, ვიდრე მდიდარი თემები კლიმატისცვლილება ასევე ის საკანონმდებლო აქტები და ნორმატივები რომელიც უკავშირდება კლიმატის ცვლილების წინარმდეგ ბრძოლას საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ფარგლებში, საქართველო ოთხ წელიწადში ერთხელ, გაეროს წარუდგენს ეროვნულ ანგარიშს ქვეყანაში კლიმატის ცვლილების მიმდინარე და სამომავლო ტენდენციებისა და მისი შედეგების შესახებ. 2021 წლის აპრილში, კლიმატის ცვლილების სფეროში აღებული ეროვნული ვალდებულებების ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის სამდივნოს წარუდგინა საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება, რომელიც კლიმატის ცვლილების შესახებ ერთ-ერთ ყველაზე მრავალმხრივ და ყოვლისმომცველ დოკუმენტს წარმოადგენს.

მდგრადი განვითარება გულისხმობს ასევე ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს.

ამ მხრივ დიდი როლი ენიჭება ეკონომიკურ უსაფრთხოებას ეკონომიკური უსაფრთხოება ქვენის სტაბილური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. იგი არის ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ეკონომიკური ზრდა, მწარმოებლურობის მაღალი დონე, ეკონომიკურ მოთხოვნილებათა ეფექტიანი დაკმაყოფილება, სახელმწიფო კონტროლი ეროვნული რესურსების მოძრაობასა და გამოყენებაზე და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა საერთაშორისო დონეზე. ეკონომიკური უსაფრთხოების ობიექტია როგორც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური სისტემა, ისე მისი შემადგენელი სექტორები და ელემენტები. ეკონომიკურ უსაფრთხოებას დიდწილად განაპირობებს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ამიტომ მნიშვნელოვანია მძლავრი ბიძგი მიეცეს ეროვნულ წარმოებას, რათა შემცირდეს უცხოურ პროდუქციაზე დამოკიდებულება.

მდგრადი განვითარების კონცეფციას მჭიდრო კავშირი აქვს ,,მწვანე" ეკონომიკასთან, რადგან მოიცავს ისეთ საკითხებს როგორიცაა მოხმარება და ნარჩენების მართვა, კორპორაციული პასუხისმგებლობა, დასაქმება, ენერგიის ეფექტიანობა და დაზოგვა, სიღარიბის შემცირება. აღნიშნული კონცეფცია გვეხმარება ისე მოვიპოვოთ ეკონომიკური კეთილდღეობა, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დაზიანდესს გარემო და მეტად ვიზრუნოთ საზოგადოების სოციალურ კეთილდღეობაზე.

,,მწვანე" ეკონომიკის იდეა შემუშავდა მდგრადი განვითარების კონცეფციის საფულველზე და მისი განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი გზაა. მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ სფეროებს თანაბრად. „მწვანე" ეკონომიკაც მოიცავს

სამივე ამ სფეროს, მაგრამ აქცენტი გადატანილია რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე, ბუნების შენარჩუნებასა და განვითარებაზე. აქ ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებაში უდიდეს როლს თამაშობს ადამიანის ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოში ცხოვრებისა და საქმიანობის პრობლემები აწმყოსა და მომავალში.

„მწვანე“ ეკონომიკის მთავარი მიზანია – ახლანდელი და მომავალი თაობების,ახალი ცხოვრების წესის დანერგვას, მათი კეთილდღეობის ამაღლება არსებული არაგანახლებადი რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენების, მათი ეკოლოგიურად სუფთა რესურსების ჩანაცვლების, ნარჩენების მინიმიზაციის, ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნებისა და განვითარების გზით.

ტრადიციული ეკონომიკა, ინდუსტრიალიზაციის ეპოქის დასაწყისიდან მომდინა რე, ობს და უკავშირდება წარმოების პროცესებში მავნე ნივთიერებების ემისიას, ნახშირბადის მაღალ შემცველობას, რესურსების მფლანგველურ მოხმარებასა და სოციალურ ექსკლუზიურობასთან. ამის საწინააღმდეგოდ „მწვანე“ ეკონომიკა ხასიათდება ნახშირბადის დაბალი შემცველობით, რესურსების რაციონალური მოხმარებითა და იგი არა მხოლოდ ინარჩუნებს, არამედ აღადგენს ბუნებრივ რესურსებს, ბუნებრივ კაპიტალს.

აღსანიშნავია, რომ ,,მწვანე" ტექნოლოგიები ტრადიციულთან შედარებით ძვირია, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში მისგან მიღებული სარგებელი ბევრად აღემატება პირველად ინვენსტიციას, მაგალითად, წყლის რესურსის რეციკლირებისაგან მიღებული სარგებელი ან შენობის დათბუნებით მიღებული სარგებელი გვიმცირებს კომუნალურ ხარჯებს.

საქართველოში არსებობს უამრავი შესაძლებლობები ,,მწვანე" ბიზნესიის განსახორციელებლად, მაგალითად მაკულატურის წარმოება, რომელიც ბევრად შეამცირებს ტყის რესურსის ხარჯს, პლასტმასის გადამუშავება, ორგანული ნარჩენების გადამუშავება კომპოსტის მისაღებად გზის სამშენებლო საქმეში ნარჩენების გამოყენება, ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისწყალობით, ენერგოეფექტურისენდვიჩ-პანელების, თანამედროვე გათბობა-გაგრილების და სავენტილაციო სისტემებით და ენერგოეფექტური ლიფტებითა და ესკავატორების აშენება. აგრობიზნესში წვეთოვანი სარწყავი სისტემების გამოყენება სულ უფროდა უფრო ეფექტური და ხარჯდამზოგი ხდება.

მწვანე ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება გარემოს დაცვის წინაპირობაა, შესაძლებელია უამრავი მანქანა–დანადგარების გამოყენება, რომლითაც შესაძლებელია ნედლეულის პირველადი მასალის გადამუშავება დაფასოებამდე, რომელიც არის ენერგოდამზოგი და მიმართულია გარემოს დაცვისა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. საინტერესოა მწვანე ტექნოლოგიების გამოყენება საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისას ასევე უკვე აშენებული შენობების ენერგო და რესურს ეფექტურად გადაკეთებაც.

შესაძლებელია მწვანე ტექნოლოგიების გამოყენება სამი სფეროს მიმართულებით:

1. გაგრილება
2. ცხელი წყლით მომარაგება
3. სითბოს დანაკარგების შემცირება ანუ კერძო სახლებისათვის კარკასის გაუმჯობესება

სამივე მიმართულებით განხორციელება შესაძლებელია, მაგალითად კარ–ფანჯრების და გამათბობლების შეცვლა, ასე თანდათანობით ჩვენ შეგვიძლია შენობა მეტად ეფექტური, კომფორტული და სიცოცხლისათვის ჯანმრთელი გავხადოთ.

მწვანე ინვენსტიციები ძირითადად ითვალისწინებს ,,მწვანე ეკონომიკურ" საქმიანობაზე გადასვლას.

,,მწვანე ეკონომიკის" იდეას საფუძველი ეყრება მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავებისას და მდგრადი განვითარების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, გარემოს დაცვით და სოციალურ სფეროებს თანაბრად განვითარებას. „მწვანე ეკონომიკა" მოიცავს სამივე ამ სფეროს ჰარმონიზაციას, მაგრამ აქცენტი გადატანილია რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებასა და განვითარებაზე. ცხოვრების დონის ზრდასა და **ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებაში უდიდეს როლს ასრულებს ადამიანის ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოში ცხოვრება აწმყოსა და მომავალში ასევე** ხასიათდება სოციალური ინკლუზიურობით. მდგრადი განვითარების სოციალური ასპექტი მოიცავს სამართლიანობისა და კეთილდღეობის იდეებზე დაფუძნებულ საზოგადოებას, რომლის წევრებსაც, მათი მატერიალური შესაძლებლობების მიუხედავად, ხელი მიუწვდებათ აუცილებელ საჭიროებებზე, როგორებიცაა საკვები, საცხოვრისი, ჯანდაცვა, განათლება, სამუშაო, ადამიანის უფლებები, საკუთრები სუფლება და ა.შ.

მდგრადი სოციალური განვითარება, პირველრიგში, გულისხმობს ყველანაირი დისკრიმინაციის აღმოფხვრას და საზოგადოების მოწყვლადი წევრების - შშმპირები, ქალები, უმცირესობები - სოციალური უფლებების დაცვას. ამისთვი საუცილებელია ადეკვატური სოციალური პოლიტიკის შემუშავება, დასაქმებასა და უთანასწორობის აღმოფხვრაზე ორიენტირებული სისტემის შექმნა.

ყოველივე ამის საფუძველზე შემოვიდა ახალი ტერმინები **მდგრადი კლიმატი, მდგრადი მშვიდობა, ეკოლოგიური მშვიდობა**

ეკომშვიდობა განისაზღვრება--პოლიტიკური მშვიდობისა და მისგან დამოუკიდებლად ადამიანისა და გარემოს ურთიერთობის შედეგებით, ამ ურთიერთობის და პირობების შეუქცევადობით, პროცესების გლობალიზაციით და დადებითი ფაქტორების მაქსიმიზაციით.

დასკვნა

განხილული საკითხების განხილვა, შეფასებით გამოიკვეთა შემდეგი დასკვნები;

- მდგრადი განვითარების განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას, ისეთი მოქალაქეების ჩამოყალიბებას, რომლითაც შესწევთ უნარი შეაფასონ მათი საქმიანობის ხარისხიანობა ანუ კრიტიკული აზროვნების უნარი, ანუ ისეთი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება რომელთაც შეუძლია მხარი დაუჭირონ იმ გარემოსდაცვით, ეკონომიკური და სოციაალური სამართლიანობის ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობას მდგრადი გარემოს ჩამოყალიბებაზე. ამ კუთხით მნიშვნელოვანია განათლება და ეთიკა დანერგვა და შესწავლა ყველა დონეზე.
- სახელმძღვანელოს „განათლება და ეთიკა მდგრადი განვითარებასთან მიმართებაში" გამოცემა, რომელიც უპასუხებს მდგრად განვითარებაში არსებულ გამოწვევებს და მიზნებს.
- ნაშრომში გამოთქმული და დასაბუთებული იყო ,,განათლება და ეთიკის ,, შესწავლის ეტაპები, თემატიკა და განხილული იყო კლიმატის ცვლილების და ,,მწვანე ეკონომიკის,, მაგალითზე

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშიძე მედეა, აბაშიძე ელეონორა - ეკოლოგიური ეთიკა
https://openscience.ge/bitstream/1/144/1/ekologiuri%20etika.pdf

მ. ბანძელაძე დ. ჩხიროძე (2012). ეთიკა და ეკოლოგიის ზნეობრივი საფუძვლები აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი. გვ 147-153

მაია ბლიაძე, მდგრადი განვითარების მიზნები, თბილისი 2022

რამაზ აბესაძე, ,,მწვანი ეკონომიკა", თბილისი 2019
https://eas.tsu.ge/%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/8479/